დანართი 1

„დამტკიცებულია“

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის თავმჯდომარის
2018 წლის 13 ნოემბრის N6/19 ბრძანებით

საგანგებო შტაბის შემადგენლობა:

1. საგანგებო შტაბის უფროსი;

2. საევაკუაციო ჯგუფი;

3. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფი;

4. კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ჯგუფი;

5. სამედიცინო რეაგირების ჯგუფი;

საგანგებო შტაბის წევრთა ფუნქციონალური მოვალეობები

1. საგანგებო შტაბის უფროსი

„ორგანიზაციის'' საგანგებო შტაბის უფროსი ანგარიშვალდებულია, ზემდგომ დარგობრივი ხელმძღვანელობის წინაშე. იგი პასუხისმგებელია „ორგანიზაციის'' საგანგებო სიტუაციებზე მუდმივი მზადყოფნისათვის, რეაგირების დაგეგმვისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე მშვიდობიან და ომის შემთხვევაში.

მას ევალება:

- "ორგანიზაციის'' საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს.
- თანამშრომლებისათვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება.
- მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება.
- "ორგანიზაციაში'' მოხალისეთა ფორმირებების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება.
- ფორმირებებისათვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მომარაგება, ექსპლუატაციისაათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა.
- თანამშრომელთა დადგენილი წესის მიხედვით დროული ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში.
- ექსტრემალური სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება.
- საჰაერო (სარაკეტო) თავდასხმის შემთხვევაში თანამშრომელთა შეფარების ორგანიზება დამცავ ნაგებობებში.
- ორგანიზაციაში ყველა დონის სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებების სწავლების ორგანიზება და განხორციელება.

2. საევაკუაციო ჯგუფის უფროსი

საევაკუაციო ჯგუფის უფროსი ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს

იგი ვალდებულია:

- შეიმუშაოს „ორგანიზაციის'' ევაკუაციის გეგმა (იხ. თანდართული ინსტრუქცია);
- განსაზღვროს შენობის საევაკუაციო გზები და გასასვლელები, იზრუნოს მათზე მანიშნებელი ნიშნების დაყენებაზე;
- ორგანიზება გაუკეთოს თანამშრომელთა ასევე (საჭიროების შემთხვევაში) მათი ოჯახის წევრთა რაოდენობის განსაზღვრას მათი ოპერატიულად ევაკუაციის მიზნით;
- საჭიროებიდან გამომდინარე მუდმივი კავშირი იქონიოს, მუნიციპალურ (ქალაქის) საგანგებო შტაბთან.
- იცოდეს ევაკუაციის რაიონი, მოძრაობის მარშრუტი, ჩასხდომისა და გადმოსმის ადგილი;
- აწარმოოს აღრიცხვიანობა ავტოტრანსპორტზე, რომელიც გამოყენებულია ევაკურებულთა გადასაყვანად;
- მონაწილეობა მიიღოს ევაკუირებულთა მომარაგებას ევაკუაციის შემთხვევაში პირველადი მოხმარების ნივთებით.
- მჭიდრო კავშირი იქონიოს ქალაქგარე ზონაში ევაკომიმღებ პუნქტებთან, იცოდეს ევაკუირებულთა ჩასახლების ადგილები, მათი მომარაგების მიმდინარეობა;
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს ობიექტის რეაგირების გეგმის შემუშავებაში, ევაკუაციას საკითხების დაზუსტებაში;
- საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში იცოდეს და წინასწარ ჰქონდეს მომზადებული თანამშრომელთა უსაფრთხო ადგილებში გადაადგილებისათვის საჭირო მონაცემები;
- ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში იგი ვალდებულია:

ა) სპეციალური სიგნალებით, დროულად შეატყობინოს თანამშრომლებს ევაკუაციის დაწყება;
ბ) დროულად გააგზავნოს მუნიციპალიტეტის საგანგებო შტაბში თავისი წარმომადგენელი;
გ) ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში სრული შემადგენლობით თანამშრომელთა გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე, მათი უსაფრთხო ადგილებში გადასაყვანად;
დ) ჩასახლების ადგილებში ჩასვლის შემდეგ ორგანიზება გაუკეთოს ევაკუირებულთა დროულ დაბინავებას და მათ ყოველმხრივ უზრუნველყოფას.

3. მატერიალურ_ტექნიკური მომარაგების ჯგუფის უფროსი

მატერიალურ_ტექნიკური მომარაგების ჯგუფის უფროსი ექვემდებარება "ორგანიზაციის" საგანგებო შტაბის უფროსს.

იგი ვალდებულია:

- მიიღოს აქტიური მონაწილეობა რეაგირების გეგმის შედგენაში მატერიალურ_ტექნიკური მომარაგების საკითხების გათვალისწინებით;
- მოამზადოს ანგარიში მოხალისეთა ფორმირებების აღჭურვისათვის საჭირო აღჭურვილობით სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ამოცანების შესასრულებლად.
- იცოდეს სპეცაღჭურვილობის რაოდენობა, მისი შეძენისა და შენახვის პირობები;
- იცოდეს ავტოტრანსპორტის რაოდენობა, მათი ტექნიკური აღჭურვილობა და საწვავ_საცხები მასალის შენახვის პირობები. აწარმოოს მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა;

- მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს აყვანილი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- სისტემატიურად ახსენებდეს "ორგანიზაციის" საგანგებო შტაბის უფროსს ავტოტრანსპორტის და სხვა სამოქალაქო თავდაცვის ქონების ტექნიკურ მდგომარეობის შესახებ.
- იცოდეს, როგორც თვითონ ასევე ჯგუფის წევრებმა მშვიდობიან პირობებში თავშესაფრის სწორი მომსახურეობა და ექსპლუატაცია, მუდმივ მზადყოფნაში ჰქონდეთ მოყვანილი იგი თანამშრომელთა შეფარებისათვის;
- საჭიროების შემთხვევაში სწრაფად მოიყვანონ თავშესაფარი მზადყოფნის მდგომარეობაში პერსონალის შესაფარებლად;
- თავშესაფრის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში სწრაფად დაურიგდეს ყველა შეფარებულს აირწინაღები მიიღოს საჭირო ზომები თავშესაფრის მზადყოფნაში მოყვანისათვის.

4. კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ჯგუფის უფროსი

კავშირისა და შეტყობინების ჯგუფის უფროსი ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს

იგი ვალდებულია :

- აქტიური მონაწილეობა მიიღოს რეაგირების გეგმის შემუშავებაში.
- ორგანიზება გაუკეთოს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას.
- დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების, მოხალისეთა ფორმირების და პერსონალის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.
- "ორგანიზაციაში" საგანგებო სიტუაციის განვითარების შემთხვევაში ან მტრის მოსალოდნელი თავდასხმის საშიშროების გამოცხადებისას, "ორგანიზაციის" რადიოეთერით შეატყობინოს პერსონალს, მოხალისეთა ფორმირებებს და ხელმძღვანელობას მოსალოდნელი საფრთხის სესახებ.
- ორგანიზება გაუკეთოს "ორგანიზაციაში" მართვის პუნქტში მორიგეობას, დროულად მიიღოს ზემდგომი ორგანოებიდან განკარგულებები, ბრძანებები და აწარმოოს აღრიცხვიანობა;
- "ორგანიზაციის" საგანგებო შტაბის უფროსთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოხალისეთა ფორმირების პირადი შემადგენლობის მომზადების საქმეში.

5. სამედიცინო რეაგირების ჯგუფის უფროსის ამოცანები

ა) მშვიდობიან პირობებში:

- ჯგუფის უფროსმა იცოდეს პირადი შემადგენლობის ამოცანები, უზრუნველყოს ჯგუფის დაკომპლექტება ტაბელური სამედიცინო აღჭურვილობით;
- განუწყვეტლივ სრულყოფდეს, როგორც პირად მომზადებას აგრეთვე დაქვემდებარებული შემადგენლობის ცოდნის დონეს;
- სისტემატიურად ატარებდეს გეგმით გათვალისწინებულ სამედიცინო, (ქიმიურ და რადიაციული) უსაფრთხოების თემებზე როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს ;
- ახორციელებდეს პირადი შემადგენლობის მუდმივ მზადყოფნას და ურთიერთ შეთანხმებულობას;
- შეეძლოს განახორციელოს ურთიერთმოქმედება სხვა ფორმირებებთან;
- სისტემატიურად უწევდეს კონტროლს ობიექტის ტერიტორიაზე სისუფთავისა და პირადი შემადგენლობის მიერ ჰიგიენის დაცვას;
- აღმოუჩინოს პირველი სამედიცინო დახმარება დაზიანებულ ადამიანებს;
(_ წესრგში ჰქონდეს ქიმიური და რადიაციული მონიტორინგის ხელსაწყოები).

ბ) ექსტრემალურ ვითარებაში :

- ჯგუფის უფროსი სასწრაფოდ კრებს და ატყობინებს პირად შემადგენლობას, აცნობს მათ შექმნილ ვითარებას;
- სწრაფად აგზავნის დაზიანების კერებში პირად შემადგენლობას. ადგილზე აღმოუჩენს პირველ სამედიცინო დახმარებას დაზარალებულებს, რომლებიც შემდეგ გადმოჰყავთ უსაფრთხო ადგილებში;
- საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულები გადაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალოდ;
- "ორგანიზაციაში" შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ აცნობებენ მუნიციპალურ სამედიცინო სამსახურის უფროსს.

(_ აწარმოებს ქიმიური და რადიაციული მონიტორინგს.)